



## სამუშაო შეხვედრა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში

ანაკლია, 2015 წლის 22 მარტი

### სესია „შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიები“

**მოდერატორი :** ირინე საგანელიძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე

**რეპორტიორი :** შორენა ციცავი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კულტურის პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომელი

#### მონაწილეები :

- ბადრი წერედიანი, შ. დადიანის სახ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი
- თენგიზ ხუხია, ს.ს.ი.პ ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის დირექტორი
- მაიკო ტიკარაძე, ფოთის ფოლკლორის ცენტრის დირექტორის მოადგილე
- გრიგოლ გაგუა, ფოთის საგამოფენო დარბაზის დირექტორი
- მაია კორკელია, ფოთის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის დირექტორი
- გრიგოლ ღვანია, ფოთის ოტია ჯაიანის სახელობის სამხატვრო სკოლის დირექტორი
- ზაზა ლადუა, ფოთის ფოლკლორის ცენტრის დირექტორი
- ირაკლი ადამია, სენაკის ა. ხორავას სახ. პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი
- ათინა წურწუშია, ღიზანერი, ასისტენტი კულტურისა და განათლების საკითხებში, ჩხორონყუ

დისკუსიისათვის გამოყოფილი ორი საათის განმავლობაში, კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ქალაქებიდან: ფოთი, ჩხორონყუ, ზუგდიდი და სენაკი კულტურის სფეროში არსებული ორგანიზაციებისათვის ძირითად პრობლემად გაუმართავი ან არარსებული ინფრასტრუქტურა დაასახელეს, რასაც ავარიული შენობები, მოუწყობელი საგამოფენო სივრცეები, არასაკმარისი ტექნიკური საშუალებები, მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განაპირობებს. ამასთან ერთად, ზოგიერთ სახელოვნებო სკოლაში ძირითად მიმართულებებად ტრადიციული ხალხური რენვა და სახვითი მიმართულება რჩება, თუმცა, რთულია სახელოვნებო სკოლების ხელმძღვანელებისათვის გამოფენების მოწყობა, კონტაქტების დამყარება, საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება. მაგალითისათვის: ფოთის სახელოვნებო სასწავლებლის მოსწავლეები 1997 წლიდან აწარმოებენ ხისა და კერამიკის ნამუშევრებს, გობელენს, თექვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ვერ ახერხებენ ნამუშევრების რეალიზაციას. გარდა ამისა, ორგანიზაციების მხრიდან ხაზი

გაესვა მწირი დაფინანსების საკითხს, რაც შესაბამისად აფერხებს კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებას. დეფიციტია კვალიფიციური კადრების კუთხითაც. თუმცა, კულტურის როლი თავისთავად ტრადიციულად გააზრებულია საზოგადოების ცნობიერებაში და რეგიონების პროფესიულ თეატრებს მაყურებელი არ აკლია.

### დისკუსიის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემები:

- კულტურის ობიექტების გაუმართავი ინფრასტრუქტურა და მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- კულტურის სფეროში მოღვაწე დაწესებულებების მწირი დაფინანსება
- რეგულაციების არარსებობა - გაურკვეველია პრინციპები, რომლის მეშვეობითაც მუნიციპალიტეტების მხრიდან ხდება ორგანიზაციების დაფინანსება
- ინფორმაციული ბაზების არარსებობა რეგიონში მოღვაწე ხალხური რენვის ოსტატთა შესახებ
- ბაზრის არარსებობა სახელოვნებო სკოლის მოსწავლეების მიერ რეალიზებული პროდუქციისათვის
- სახელოვნებო განათლებაში განათლების საშუალო რგოლის უგულებელყოფა (პროფესიული განათლება)
- ბიუროკრატიული დაბრკოლებები პროექტების რეალიზაციისათვის
- მაყურებლის მოზიდვისა და ბილეთების რეალიზაციის პრობლემა ( სააბონემენტო სისტემის არარსებობა)
- მენეჯმენტის პრობლემა
- პროფესიული კადრების პრობლემა (თეატრებში მსახიობების მაგალითზე)
- კულტურის როლის მნიშვნელობის შესახებ დაბალი ცნობიერება საზოგადოებაში
- სუსტი კომუნიკაცია რეგიონების დონეზე სახელმწიფო ინსტანციებს შორის
- კულტურული ტურიზმის განუვითარებლობა რეგიონში
- ნაკლები ინფორმირებულობა შემოქმედებითი ინდუსტრიისა და ამ მიმართულებით მუშაობის შესახებ

### განსახორციელებელი ქმედებები :

- კულტურული ობიექტების ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება
- სახელმწიფო პოლიტიკის ჩართვა პროფესიული კადრების მომზადებაში
- კონტაქტების გამყარება ცენტრსა და რეგიონს შორის
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხრიდან პროფესიული რჩევებისა და მეთოდოლოგიური დახმარების განწევა
- სამინისტროს მიერ მეტი ჩართულობა, დაგეგმილ ღონისძიებებსა და გამოფენებში რეგიონებში არსებული რესურსის გამოყენება, მონაწილეობის მიღება
- მასშტაბური პროექტების განხორციელება
- სამინისტროს მხრიდან საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების კუთხით რეგიონების ხელშეწყობა

- სამინისტროსა და რეგიონების კულტურულ ობიექტებს შორის კონტაქტების გაღრმავება, მასტერკლასებისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელების კუთხით ხელშეწყობა
- სამინისტროს მხრიდან სწორი ინფორმირებულობისა და კონსულტაციების საფუძველზე შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარება, რეალიზაციაზე ორიენტირებული პროდუქტის შექმნა
- ახალგაზრდობის ჩართულობა, მეტი ინფორმირებულობა, ინტერესის გაღრმავება
- შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად
- რეგიონების კულტურული ღირშესანიშნაობების, შემოქმედებითი რესურსისა და გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით შემოქმედებითი, შემოსავლებზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება.
- რეგიონებში არსებული კულტურული პოტენციალისა და პრობლემების გათვალისწინებით პრიორიტეტების განსაზღვრა, აქტივობების სწორი დაგეგმვა.